

ნოდარ კობერიძე



„შირვა-გორჯის“
სათლაგვის ძიებაში



ნოდარ კობერიძე

ჩემი ვასტაცია ბერები
უკარისი ნოტი კომი
გამარჯვება საფუძვლი - იური
ორბელი რეპრეზენტატორი, ლენინ-
ჰილ რეპრეზენტატორი.
„შირვა-გორგაის“ დამხმა

საფლავის პირაპი

ნოტი

კომისადმი

26/01/15

უღრმესი მადლობა ყველას ვინაც ოდნავ მაინც შეგვიწყო
ხელი იმ დიდ მამულიშვილურ საქმეში – რასაც ალექსანდრე
ბაგონიშვილის საფლავის მოძიება და
ამ წიგნის გამოცემა ჰქვია

საზოგადოება — „ტაო-კლარჯეთი“
თბილისი, 2015

ისეა გაყალბებული საქართველოს ისტორია, რომ ხშირად ვერც კი გაგვირკვევია ვინაა გმირი და ვინაა მტრის სამსახურში ჩამდგარი კოლაბორაციონისტი-ანტიგმირი. ალექსანდრე ბატონიშვილის ლამის ლეგენდად ქცეული ფიგურა ერთგვარად ის საპირწონეა, რომლის პინასთან დამდგარი ერთხელ და სამუდამოდ გაერკვევი ვისი რა აიწონების!

აი, ასეთ ფიქრებთან დაგტოვებთ ეს წიგნი, როცა მას ჩაიკითხავ – ძვირფასო მკითხველო.

304.500

რედაქტორი
დამკაბადონებელი

ნეი დეკობერი
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-0-6299-5

ჩვენი, ქართველთა უბედურება ისაა, რომ არ ვიცით ჩვენი ის-
 ტორია, საკუთარი ისტორიის არმცოდნე ერი კი უფესვო კაცივ-
 ით არის, რომელმაც არა თუ არ უწყის ვინაა და საიდან მოდის,
 არამედ იმასაც კი ვერ ხვდება თუ რა უბედურება ტრიალებს მის
 თავს. სწორედ ამიტომაცა გვყავს ამდენი მტრიდან შემოტენი-
 ლი და მათი იდეოლოგიის გამტარებელი ყალბი გმირები, ყალბი
 საზოგადო მოღვაწენი, ყალბი მნერლები, ყალბი მუსიკოსები,
 პოსტსაბჭოთა სივრცის ყალბი „გენიოსი“ — რეჟისორები. ამი-
 ტომაც ვუდგამთ ძეგლებს გამყიდველ-კოლაბორაციონისტებს,
 ვადიდებთ მათ და ვაცხადებთ გმირთა-გმირებად, ხოლო ჭეშ-
 მარიტ თავდადებულ მამულიშვილებს დავიწყების ობიან სკივრ-
 ში მივუჩენთ ხოლმე ადგილს. არადა ისინი არიან უზაკველი
 საპირნონენი ქართველთა სულისა, მათი ცხოვრება კი ის დედო-
 ზარია, რომელთა შემოკვრა სილაქივით გვილანუნდება, ყალბი
 ცხოვრებით მობაირამეებს. ნელ-ნელა, იძულებით მონადქ-
 ცეულნი მონადშობილებად ვიქეცით, მონადშობილს კი როდის
 იყო თავისუფლების ქიმერა როს ტანჯავდა. ამიტომაც იშვა ამ-
 დენი ფარისეველი, რადგანაც ასეთმა გაორებამ გააყალბა ჩვე-
 ნი ცხოვრების წესი, წესი რომლის გააზრება ისე გვაფრთხობს
 ვითარცა უფლის მიერ მხილებული ცოდვა. მაგრამ ხომ უნდა
 დადგეს უამისიმართლისა და აღდგომისა, ამისათვის კი საჭიროა
 ყველას თავისი მივუზღოთ, აუცილებლად უნდა დაემხონ ყალბი
 ავტორიტეტები, ეს დამპყრობლის აღზრდილნი და ძუძუნანო-
 ვარნი ფარისეველენი მარად მათი ერთგულნი იქნებიან, რად-
 განაც კარგად მოეხსენებათ, რომ დამპყრობლის კალთის გა-
 რეშე ისინი არარაობანი არიან და ამიტომაც საკუთარი ხალხის
 მთავარ მტრად გვევლინებიან! ეს ერთგვარი პერიფრაზი დიდი
 ინდოელი გამათავისუფლებელის ჯავახარლალ ნერუს სიტყვე-
 ბისა ცხოვრების წესად უნდა გავიხადოთ და მაშინ მოვა შვება.
 ერის ჭეშმარიტ შვილებს უნდა ავხსნათ მივიწყების ბორკილნი-

ჯაჭვისანი და ისინი იმ შარავანდებით წარმოვაჩინოთ როგორებიც სინამდვილეში არიან. მხოლოდ ასე დაემხობიან ხატნი იუ-დასანი და ჩვენი ერნი ქართლოსისანი კვლავაც გავიმართებით წელში. ამაშია ხსნა, ამაში! ამიტომაც ებრძვის მტერი გავეშებით მითოსადშენისლულ ნამდვილ გმირებს. მას კარგად მოეხსენება, ვიდრე გმირის ჩრდილისა-ჩრდილი ლიცლიცებს ერის კოლექტიურ მეხსიერებაში, დაპყრობა კი, მაგრამ მათი საბოლოო დამონება შეუძლებელი არის. ამის გამო მტერს ვით შეუძლია მოსვენებით იყოს. მას კარგად მოეხსენება რომ ის ჩრდილთა-აჩრდილი, ერთ დღესაც კვლავაც დარაზმავს უდრეკ სულებს, კვლავაც ააკაშკაშებს ქვეყნად თავისუფალ ლამპარს და მაშინ ჰაი დედასა. მტერმა კარგად იცის, რომ აქ გამოსავალი ერთია, ასეთ ხალხს მხოლოდ მრუდე სარკეში შექმნილი ისტორია უნდა დააჯერო და მენტალიტეტი შეუცვალო...

„შირე-გორჯი“ — სპარსულად „ნათარგმანებიდან“ ქართველ ლომს ნიშნავს. ასე ეძახდნენ სპარსელები ერეკლე მეორის ნაბოლარა მეჩვიდმეტე შვილს-ალექსანდრეს, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილის სახელით შევიდა ისტორიაში. ის ერთადერთი ბაგრატიონიულის ნული აღმოჩნდა, რომელიც ვერ გატეხეს რუსებმა, რომელიც არ შეეგუა ოცდახუთსაუკუნოვანი სახელმწიფოს-საქართველოს გაუქმებასა და შემდგომ მისი სრული გაქრობის მტრის დაუოკებელ სურვილს და პირველი დღიდანვე გამოუცხადა მომხვდურს უკომპრომისო ომი. (აკი „დიდი რუსი დემოკრატი“ დეკაბრისტი პესტელი პირდაპირ მოუწოდებდა ქართველთა გასახლებას კავკასიელებთან ერთად ციმბირში და ამ ბოროტების განხორციელებას სულ ცოტა დააკლდა აგერ ახლა, საბჭოთა ეპოქაში ნიკიტა ხრუშჩოვის დროს). რუსთა გასაოცრად ვერც რომ მოქრთამეს სხვა ქართველთა მსგავსად, ვერც მოწამლეს, ვერც „მილიონად“ მოაკვლევინეს! შეშინებაზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და მან გმირმა სიცოცხლის ბოლო ნლამდე არ ჩააგო ხმალი და იბრძოლა მთელის თავგამოდებით, რომ როგორმე აღედგინა ასე უსინდისოდ და ვერაგულად



წართმეული სახელმწიფო ბრიობა. ამ ვაჟკაცის დისკურსული ტერიტორია რომ ვერ მოხერხდა, მაშინ ფლიდნი და ბოროტი ტვინნი იმ-პერისა დაადგნენ ვერაგულზე-ვერაგულ გზას, გზას რომელ-საც სახელ-სახსენებლის ამოძირკვა ჰქვია ერის კოლექტიურ ხსოვნაში. იგი-გმირი კი 1801 წლიდან მოყოლებული იბრძვის ჩაუქად, მუხლჩაუხრელად. მანამდე კი კრწანისის ომში მამის-პატარა კახის მხარდამხარ იბრძოდა, შემდგომ საჭურისის მიერ გადაბუგულ თბილისის აღდგენას ხელმძღვანელობდა. საერთოდ აღა მაჰმად ხანი სხვა თემაა, რომლის გაუშუქებლობა ვერ ამოხსნის იმ განტოლებას რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნული არსი ჰქვია. რუსეთმა 1783 წელს გეორგევსკის ტრაქტატი იმიტომ დადო რომ შესაფერის მომენტს დალოდებოდა და ერთი ნახტომით მოეხდინა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია და შემდგომ მთელი საქართველოსი. მრავალი მცდელობის შემდგომ რუსმა გენერალმა ტოტლებენმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ერეკლე ასპინძაში ომს თურქებთან უსათუოდ წააგებდა — პირდაპირ სცადა თბილისის ოკუპაცია, მაგრამ მოხდა „მოულოდნელი“ რამ, ერეკლემ გაიმარჯვა და ტოტლებენმა ამ უპირო არამზადამ დასავლეთ საქართველოს მიაშურა, სადაც ასევე „წარმატებით“ გააგრძელა თავისი საქმენი საღალატონი. ამის შემდგომ რუსეთი უფრო საფუძვლიანად „მოემზადა“, რათა დავრდომილი ქართლ-კახეთის სამეფო ერთი ზალპით გადაეყლაპა. რუსეთის ელჩიმა ირანში აღა მაჰმად ხანს გეორგევსკის ტრაქტატის არამარტო საიდუმლო პარაგრაფები გაუმხილა, არამედ ურჩი „სახანოს“ დასჯისათვის სპარსთა ჯარის დაფინანსებაც იკისრა, თორემ ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფ ირანს სადა ჰქონდა ორმოცათასიანი ჯარის ლაშქრობის თავი (თბილისის გადაწვის შემდგომ ირანში არეულობის გამო, სამიოდ დღეში სასწრაფოდ ირანს მიაშურა სადაც დიდი ქაოსი დაიწყო და სულ მაღე ხუთი ათასმა ავღანელმა თეირანი აიღო და გადაბუგა), პარალელურად სტამბოლში რუსეთის ელჩიმა, ერ-

ეკლეს დასახმარებლად მომზადებული 600 ქართველი მამლუქი გასცა და „აჯანყებულნი“ ამოახოცინა. მხოლოდ ერთი მამლუქი გადარჩა, რომელიც შემდგომ ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა პირამიდებთან და აი, როგორც იქნა პოლიტიკურ არენაზე სულ მარტოდ დარჩა ასკინკილა დაჩიჩაჩანაკებული, დაუძლურებული ქართლ-კახეთის სამეფო, რომლის საბოლოოდ ხელში ჩაგდება, რომ იტყვიან ტექნიკის საქმე იყო და ამ ტექნიკას რუსეთის იმპერია, რომ კარგად ფლობდა მან ისტორიაში თავისი „ნასტავნიკების“ ხელშეწყობით არაერთხელ დაამტკიცა. ყოველივე კი რუსეთის იმპერატორების ჯერ პავლე პირველის და მერე „მამის მკვლელ“ ალექსანდრე პირველის მანიფესტით დასრულდა, რომლის პრეამბულაში, ოკუპანტი „ცრემლთა ლვარლვარით“ აცხადებდა, რომ დიდი ქრისტიანული მორალის საფუძველზე იგი იძულებულია ქართლ-კახეთის სამეფოსა და მისი ხალხის მფარველობა იკისროს. ეს მოხდა 1801 წელს და ამ დღიდან ალექსანდრე ბატონიშვილს ხმალი არ ჩაუგია. თანაც ეს არნახული და არგაგონილი აქტი ქვებუდანური დაპყრობისა ხომ მის თვალნინ განხორციელდა და ეს კარგად გაითვალისწინა გონიერმა უფლისწულმა და არაფერში, არასოდეს აღარ ნდობია ჩრდილოელ ბოროტებას და ამ დღიდან დაიწყო ორმოცდასამ წლიანი ომი საქართველოს პატრიოტებსა და დამპყრობ და მათ ატორლიალებულ კოლაბორაციონისტებს შორის. ეს ომი მხოლოდ დიდი მამულიშვილის სიკვდილის შემდგომ შენყდა. 1844 წელს, როცა ბატონიშვილი ყველასაგან მიტოვებულ ირანს გარდაიცვალა. რუსეთმა პირველად, მართალია ხვნეშით, მაგრამ მაინც სიხარულით ამოისუნთქა. მაგრამ მანამდე იყო არნახული და არგაგონილი თავდადება. 1801 წლიდან საქართველოში თოფი არ გავარდნილა, რომ ამ საქმეში ალექსანდრე ბატონიშვილის ხელი არ ყოფილიყო გარეული. მან მთელს კავკასიაში უდიდესიავტორიტეტიმოიპოვა, დაღესტანში იმდენად უყვარდა, იმდენად აფასებდნენ და ისეთი განუხრელი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ლეგენდასავით ვრცელდებოდა ხმა ჩრდი-

ლო კავკასიელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი იმამ შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის შვილია. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ იმამ შამილის შეუპოვარ, უდრეკ, ეპოლეტებზე და ჩინ-მედლებზე არ წამცდარ სულიერებასა და ვაჟკაცურ ფესვებს! იმამ შამილი უდიდეს პატივსა სცემდა ალექსანდრე ბატონიშვილს და ყოველთვის ზიზღით ეპყრობოდა სულგაყიდულ კოლაბორაციონისტებს და როს 1859 წელს შამილი დაატყვევეს, ქოხიდან გამოსულმა მან რაღაც უცნაური დალლილობით დაამთქნარა, რაზედაც ერთმა რუსის გენერლის ფარაჯაში გამოწყობილი ქართველი (ორბელიანთა გვარისა), „ნაეანგლა“, — ვაიმე შამილ არ გადამყლაპოვო. იმამ შამილმა ზიზღით შეხედა და სრულდ მშვიდად უპასუხა: „ნუ გეშინია კნიაზ მე ლორის ხორცს არა ვჭამო!“. აი ასეთნი დგებოდნენ სწორზე ალექსანდრე ბატონიშვილის მიმართ — ასეთნი! რუსეთის იმპერიას საქართველოდან მხოლოდ ორი კაცი არ დანებდა. არ დანებდა და არ გაცვალა ეროვნული ლირსება ზიზილ-პიპილო მუნდირზე და მოოჭვილ ორდენებზე. დასავლეთ საქართველოში ეს სოლომონ II იყო, აღმოსავლეთში კი ალექსანდრე ბატონიშვილი. სამნუხაროდ სოლომონ მეორე ადრე გარდაიცვალა, ალექსანდრე ბატონიშვილმა კი კიდევ დიდხანს ზიდა ერის თავისუფლებისათვის მებრძოლის მძიმე ჭაპანი. იგი, აბსოლიტურად ფლობდა პოლიტიკურ სიტუაციას. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თეირანში საფრანგეთის ელჩითან და ნაპოლეონზე დიდ იმედებსაც ამყარებდა. ვფიქრობ, შემთხვევით არ დაემთხვა 1812 წლის კახეთის აჯანყება ნაპოლეონის რუსეთში შეჭრას. მაშინ სასწორის ერთ პინაზე დადებული იქნა — თავისუფლებისათვის მებრძოლი ერი და მისი ლიდერი ალექსანდრე ბატონიშვილი, მეორე პინაზე კი რუსეთის იმპერია თავისი გადაბირებული გარუსების გზაზე დამდგარი ქართველი გენერლებით. ბოროდინოს ბრძოლაში 17 ქართველი გენერალი იბრძოდა რუსეთის მხარეს, ხოლო მანამდე ცოტა ხნით ადრე პეტრე ბაგრატიონი (ის პეტრე ბაგრატიონია, რომელსაც კრწანისში ძეგლი როს დავუდგით,

რითაც შევურაცხყვეთ კრწანისის ველზე დაღუპულ ქართველი გმირების მარადიული ხსოვნა, მაგრამ ბრიყვები დღესაც ვერ მივმხვდარვართ ამას და ვერ გაგვიაზრებია ის რომ ამით ბოროტების՝ იმპერიამ მასხარადაც აგვიგდო!!!), აჯანყებულ კახელებსა და ალექსანდრე ბატონიშვილს უთვლიდა — გაჩერდით, შინ წაეთრიეთ თქვენს გომურებში თორემ ჩამოვალ და ყველას ტყავს გაგაძრობთო. რას იტყვით შესაფერისი სიტყვებია არა — როგორც თავად ამბობდა წარმოშობით ქართველის და ეროვნებით რუსი ბაგრატიონისა. თუმცა მოგეხსენებათ რუსეთის „უდიდესმა“ გენერლებმა — „დეკემბერმა“ და „იანვარმა“ თავისი ქნეს და ნაპოლეონი იძულებული გახდა დაეტოვებინა მოსკოვი... ალექსანდრე ბატონიშვილმაც დროებით ირანს შეაფარა თავი. თუმცა ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ბევრჯერ, ქართველმა მოღალატეებმა ხელიდან გამოაცალეს გამარჯვება, მაგრამ... 1832 წლის შეთქმულების მზადების დროს საორგანიზაციო კომიტეტმა „-ფარულმა საზოგადოებამ“ პირდაპირ სთხოვა სათავეში ჩასდგომოდა აჯანყებულ ქართველთა ჯარს და ეს გმირული აქტი მისი, საქართველოსი მეფედ კურთხევით უნდა დასრულებულიყო. მაგრამ მოგეხსენებათ ორგულობა თანმდევი ბედის წერაა საქართველოს და... ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი იმდენად ქუხდა კავკასიის და მის მიმდებარე რეგიონებში, რომ არზრუმის ფაშა, სოლომონ მეორის სიკვდილის შემდგომ არ დაემორჩილა თურქეთის სულთანს და ბატონიშვილის იმერეთის მეფედ გამოცხადება მოითხოვა. ოკეანის ტაიფუნივით ჩაიგრიალა მისმა ცხოვრებამ და როგორც პოეტი იტყოდა — საქართველო იყო მისი საფიცარი სახელი. და აი ასე ნელ-ნელა გაუთავებელ ბრძოლაში ჩაიფერფლა მისი დიადი სული. 1844 წელს ირანში უკვე ხანში შესული სამოცდათოთხმეტი წლის ასაკში მარტოდარჩენილი გარდაიცვალა.

გადიოდა წლები, იწერებოდა ყალბი საქართველოს ისტორია. რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა მტარვალი იდეოლოგია-პროპაგანდა, მართლაც და ამ გმირთა-გმირს ხატავდა ვითარცა ყაჩალს, ავაზაკს, კაცის მკვლელს და ამ საკაზმით მიართმევდა

გამოთაყვანებულ მონადქცეულ ადამიანთა — ხალხის დიდ უმრავლესობას და მათაც სჯეროდათ და ბევრს ახლაც სჯერა ეს. ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის რომ მისი სახსენებელი სინსილაც კი გაწყვეტილიყო. გვაზეიმებდნენ დაპყრობა-ანექსიას და მას თავისუფლების დღეს ეძახდნენ. გვაფიცებდნენ მოღალატეთა სახელებზე და ჩვენც ჩაფსმულებს სხვა რა გზა გვქონდა ვიფიცებდით. საქართველოს გაყალბებული ისტორია მეგზური გახდა ჩვენი ასევე ყალბი ყოველდღიურობისა და ასე სარეველასავით ცოცვით, შემოპარვით შეგვეცვალა მენტალიტეტი. ეს იყო რუსეთის იმპერიის ყველაზე დიდი გამარჯვება, ის რაც ვერ შეძლო — მონღოლებმა, თურქებმა, სპარსებმა მოახერხეს რუსებმა, რომელმაც გადაგვაგვარა და მენტალიტეტშეცვლილი ლაჩრადქცეული ერთ „ვერცხლზე“ დახარბებულ ხალხად გვაქცია. ნაციამ დაკარგა თავისი სიდიადე, ლირსება, სახე! თითქოსდა გამოსავალი აღარ ჩანდა თუმცალა... თურმე გმირებს ახასიათებთ მობრუნება, რადგანაც ისინი მარად ცხოვრობენ ერის ყველაზე საღ-ჯანმრთელ განათლებულ პატრიოტთა მეხსიერების მიუვალ „ჭიუხებში“ და საჭირო დროს... და ეს საჭირო დროც დადგა, დადგა მაშინ როცა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ეროვნულმა მოძრაობამ ზვიადგამსახურდიას თავკაცობითაზვირთებადაინყო. თბილისში რუსთაველის პროსპექტზე, პირველად მრავალი ათეული წლის განმავლობაში, გამოჩნდნენ მივიწყებული პორტრეტები აკრძალული სახეებისა — ქაქუცა, სოლომონ მეორე, ალექსანდრე ბატონიშვილი... მათ სურათებს ახალგაზრდობა შიშით კი არა, კრძალვით და სიამაყით დაატარებდა და ამით ღიად უპირისპირდებოდა მხეცს, რომელსაც კომუნისტური პარტია და მისი დიქტატურა ერქვა. იდეას აქვს ერთი თვისება, ის შეიძლება მრავალი წელი ჩრდილში გაყუჩებული იდგეს და ვერც ვერავინ ამჩნევდეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აგორებას იწყებს და თუ აგორდა მისი გამჩერებელი ძალა აღარ არის ამ ქვეყანაზე. ასე აგორდა დამოუკიდებლობაზე დაფეხმდიმე-

ბულ საქართველოში იდეა, რომ დადგა დრო, გმირებისთვის საკადრისი მიეზღოთ და ისინი პატივით გადმოსვენებულზე ყოფილიყვნენ სამშობლოში, რათა ერსა და ბერსა გულით დაეტირებინა, რითაც ამავე დროს სულსაც გაიმაგრებდნენ — წინ ხომ დაჭრილ მხეცთან სასიკვდილო ბრძოლა ელოდა. დაისვა საკითხი პირველად ვინ? — სოლომონ მეორე თუ ალექსანდრე ბატონიშვილი. ამ უკანასკნელის საფლავის ადგილმდებარეობის მიმართ გაორებული, დაუზუსტებელი ცნობები მოიპოვებოდა, სოლომონ მეორის სამარე კი ყველას მოეხსენებოდა თურქეთში, ტრაპიზონში იყო. ამავე დროს იმ ადგილზე სადაც იმერეთის გმირი მეფე განისვენებდა, ტრაპიზონის მერია სარესტავრაციო სამუშაოებს ატარებდა და საჭირო გახლდათ აჩქარება. (თანაც თურქეთის სახელმწიფოსთან უკვე დალაგებული ურთიერთობა გვქონდა), ვიდრე ისიც ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავით ბინდ-ბუნდში ჩაინისლებოდა. მართლაც დიდის პატივით იქნა გადმოსვენებული უდრეკი მეფე იმერეთისა. იგი მთელმა საქართველომ დაიტირა და სვეტიცხოველის დიად ტაძარში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. როგორ მახსოვს მაშინ ამ აქტით მთელი საქართველო ამაყობდა და სამართლიანად ამაყობდა! მაშინ თითქოსდა ეროვნულმა ძალებმა საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს რუსოფილ საბჭოთა კოლაბორაციონისტებზე, მაგრამ თურმე სადა ხარ, რასა მღერი და რა გემღერება საქართველოვ!

კრემლის მიერ დაგეშილმა და შეიარაღებულმა ქართველმა მოღალატეებმა პუტინი წამოიწყეს და უბედური საქართველოს თავზე სიკვდილისა და ქაოსის დოლაბი დაატრიალეს და რა გა-საკვირია ასეთ დღეში ჩავარდნილ ქვეყანას, რომელიც ჰა, ჰა და ძლივს იბრუნებდა ლამის ორას წლიან დაკარგულ სახელმწიფოებრიობას, აღარ „გახსენებოდა“ სპარსეთში გადაკარგული საფლავი ალექსანდრე ბატონიშვილისა. მით უმეტეს რომ მაღე ხელისუფლებას დაეუფლა ხალხი, რომლებიც მთელი ეპოქა სახეში ნაცარს კი არა მთხლეს გვაყრიდა და მათ როცა კვლავაც წინ წამოსწიეს „ორი რუსეთის“ დემაგოგიური ლოზუნგი. სპარ-

სეთში გადაკარგული მამულიშვილის ხსოვნისადმი შესაბამის
პატივის მიგებაზე ხომ ლაპარაკი კი არა-ფიქრიც ზედმეტად
ნარმოჩინდებოდა.

ერის ისტორიულ მეხსიერებას კანონები აქვს და როს
ცოტა გადაიდარა, კვლავაც გაჩნდა აზრი დაბრუნებოდნენ ამ
საკითხს. ცნობილმა ისტორიკოსმა, მწერალმა, სპორტსმენმა
და მამულიშვილმა ჰენრი კუპრაშვილმა გამოსცა შესანიშნავი
ნაშრომი ალექსანდრე ბატონიშვილზე — „მოუხელთებელი
უფლისნული, ანუ იმპერიის თავის ტკივილი“, სადაც კვლა-
ვაც დააყენა დიდი ქართველის მამულიშვილის გადმოსვენების
საკითხი, მაგრამ როცა საზოგადოება თავს იყრუებს და თვალს
იბრმავებს... ამიტომაც ბატონ ჰენრი კუპრაშვილსა და ცნობილ
პოეტსა, ირანისტს, საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ნომადი
ბართაიას შევთავაზე შეგვექმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელ-
იც იზრუნებდა ამ მამულიშვილის საფლავის ზუსტ აღგილმდე-
ბარეობის დადგენაზე და შემდგომ მის გადმოსვენებაზეც იფ-
იქრებდა. ჩვენ კარგად გვქონდა და გვაქვს გასიგრძეგანებული
თუ რამხელა პრობლემას ვეჭიდებოდით და რა სახითათო „უნ-
ყინარ“ მხარეებს დაგვიგებდა „მოყვარედ“ მოსული მტრები.
დავიწყეთ ყველა იმ მნირი ცნობების შეგროვება, რომელიც
ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ დაიარებოდა. დიდი სამ-
სახური გაგვინია ღვაწლმოსილი ირანისტის პროფესორ მაგალი
თოდუას მონათხოვობმა, რომელსაც ამ ოციოდე წლის წინ ნანახი
ჰქონდა ბატონიშვილის საფლავი... ამავე დროს კავშირზე გამ-
ოვიდა სახელმწიფო მინისტრის აპარატი დიასპორის დარგში
და სამინისტროში მიგვიწვიეს, პირველი შეხვედრები საქმიანად
და ენთუზიაზმით მიღიოდა. შეგვხვდა ყველა მინისტრის მოად-
გილე. ერთ-ერთი მათგანი გელა დუმბაძე დღეს ამ სამინისტროს
მინისტრია მაგრამ მერე და მერე შევამჩნიეთ, რომ მათი ენ-
თუზიაზმი სადღაც გაქრა და შეხვედრები უფრო შეხვედრები-
სთვის იმართებოდა, მიღიოდა გაუთავებელი ჭორაობა და არა
მსჯელობა. ჩვენ მოსაზრებას, რომ აუცილებლობას წარმოად-

გენდა მცირე ექსპედიციის გამგზავრება თეირანს, ცივი უარი როს მოჰყვა, ნათელი შეიქმნა, ბიუროკრატებად ქცეული ყოფილი დიპლომატები, ვერც ვერაფერს წყვეტდნენ და ვერც ვერაფერს გადაწყვეტდნენ — უბრალოდ მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა. მივხვდით ქარი საიდანაც უბერავდა. ხელისუფლებაში მისული ახალი ძალა „კარგ და გაგებულ“ რუსეთთან სიტუაციის „დალაგებას“ ცდილობდა და დღეს ექსპედიციის მოწყობა, რუსეთის მთავარი მოწინააღმდეგის ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის მოსაძებნად და შემდგომ მის გადმოსვენებაზე ზრუნვა, (რომელსაც უთუოდ დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა) არ შედიოდა ხელისუფლების უახლოეს გეგმაში და რომ ეს ფაქტი იყო, მალევე დავინახეთ, როცა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა ერთ მშვენიერ დღესაც ლიად გამოგვიცხადეს — როგორც ჩანს ალექსანდრე ბატონიშვილის არამარტო ნეკროპოლი, არამედ მისი ადგილმდებარეობის დადგენაც კი შეუძლებელია და ძებნის გაგრძელება ტყუილად ფულის ხარჯვა იქნება და „ხელებიც დაგვიბანია“. რაც შეეხება მემორიალურ დაფას, სად უნდა დაიდგას რომ არც ეგ ვიცით და თანაც კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა. აი, ასე და ამგვარად გამოგვისტუმრეს. არადა სულ რამოდენიმე დღის წინ, ბატონ გელა დუმბაძეს დიასპორის დარგში სახელმწიფო მინისტრად დაწინაურება როცა მივულოცე მითხრა: ბატონო ნოდარ, ყველაფერს გავაკეთებ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა დიდი მამულიშვილის საფლავის ადგილმდებარეობა არათუ დადგინდეს, არამედ დიდის პატივით იქნას გადმოსვენებული სამშობლოშიო! მაგრამ მოგეხსენებათ... მავან ხელისუფალს მაინც მინდა შევახსენო, რომ რუსეთი დაუძინებელი მტერია ჩვენი და მას არასოდეს არცერთი დაპირება, იურიდიულად გაფორმებული ხელშეკრულებაც კი არ დაუცავს (შესრულებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), სწორედ ამბობდა დიდი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე და გერმანიის გამაერთიანებელი — კანცლერი ბისმარკი — რუსეთთან დადებულ ნებისმიერი ხელშეკრულება



უფრო იაფად ფასობს, ვიდრე ის ქალალდი, რომელზედაც იგია გაფორმებულიო. და ბოლოს, რუსეთი თავისას რომ არ იშლის ეს არამარტო უკრაინაში გამოჩენდა, სულ ახლახანს მოსკოვში, თავად პრეზიდენტმა პუტინმა დიდის ზარ-ზეიმით გახსნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის ძეგლი, რითაც ევროპელებს მიანიშნა — მხოლოდ ნელს შესრულდა 200 წელი რაც რუსი კაზაკები პარიზში ელისეს მინდვრებზე დათარეშობდნენ ასე რომ ჭკუით იყავითო. ჩვენებს — ქართველებს კი შევახსენებ რომ სწორედ ალექსანდრე პირველმა, ამოისვა საბოლოოდ ერთ ალაგას გეორგევსკის ტრაქტატი და საქართველო როგორც ქვეყანა წაშალა მსოფლიო რუქიდან და ერთ მივარდნილ გუბერნიად გამოაცხადა! და სულ, სულ ბოლოს ჩემს ქართველებს ისიც მინდა შევახსენო, რომ ახლანდელი „მეორე-დემოკრატიული“ რუსეთის ერთ-ერთი ლიდერი ნავალნი „გრუზინებს“ კი არა „გრიზუნებს“ (რაც თარგმანში მღრღნელს ნიშნავს) გვეძახის და ალბათ ისიც ბოლომდე იზიარებს პესტელისა და ხრუშჩოვის ავადმყოფურ ზრახვებს!

ეეხ! — მგონი საქართველოში ისტორიის გადაწერა ისევ თავიდან იწყება... მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს. დიასპორის სამინისტროდან „ზრდილობიანი“ გამოსტუმრების შემდეგ (თან ჩვენ შორის მეკავშირე, სამინისტროს ექსპერტი, მართლაც პროფესიონალი გია კაპანაძეც გამოგვაყოლეს — გაანთავისუფლეს სამსახურიდან), საინციატივო ჯგუფი თითქოს ჩიხში მოექცა, ირანში გასამგზავრებლად პატრიოტთა მიერ ის ორიოდე შემოწირული გროში აპა რას გვეყოფოდა. თეირანს კი წასვლა აუცილებელზე-აუცილებელი გახლდათ, რათა როგორმე რაღაც ხელშესახებ შედეგისთვის მიგვეღნია და მადლობა უფალს გამოჩენდა კაცი, ვინაც თავის თავზე აიღო ეს დილემა, ყველა პრობლემა გადაჭრა და თეირანში გამგზავრებას სული ჩაუდგა. სერგი კაკალაშვილია ეს პიროვნება, უურნალ „ცისკრის“ გამომცემელი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ახლა კი იძულებით ემიგრაციაში მყოფი...

გადაწყდა, თქვენი მონა მორჩილი ნოდარ კობერიძე და ბატონი ნომადი ბართაია გავმგზავრებულიყავით თეირანს. 2014 წლის ცხრა ოქტომბერს ხუთშაბათ დღეს თბილისი-თეირანის პირდაპირი რეისით ირანს მივაშურეთ. როგორც აღმოჩნდა ეს რეისი უკანასკნელად სრულდებოდა. საქართველოს ხელისუფლების უგუნურმა გადაწყვეტილებამ, ირანთან უვიზო მიმოსვლა გაეუქმებინა (ირანმა ძალაში დატოვა ძველი წესი — საქართველოს მოქალაქეები კვლავაც უვიზო რეუიმზე რჩებიან), თითქმის ნულამდე დაიყვანა ირანელთა სურვილი ჩამოსულიყვნენ საქართველოში. ჰოდა ავიარეისის არსებობამაც აზრი დაკარგა. ამ გაუაზრებელ აქტს ეკონომიურ ზარალს თავი რომ დავანებოთ რა დიდი მორალური ტკივილები მოჰყვა, ამას შემდგომში დაგანახვებთ, მანამდე კი ჩვენ უკან დასაბრუნებელი ბილეთები ბაქოს მიმართულებით გადავცვალეთ, რამაც საკმაოდ დაგვაზარალა. თეირანში იმამ ჰოდეინის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში რომ ჩავედით უკვე საკმაოდ ბნელოდა. ტაქსისტების კონკურენტმა „კერძო სექტორმა“ შემოგვთავაზა მომსახურება, თანაც დოლარსაც შევისყიდიო. ამან გასული

საუკუნე ოთხმოცდაათიანი წლების თბილისი გამახსენა თავისი ქუჩის სავალალო „ბირჟებით“. ახლა ირანიც იგივე გზას გადის. გაჩირალდნებულ აიათოლა ჰოდეინის მავზოლეუმს ჩავუარეთ, დღესაც მისი სახელი წმინდათა-წმინდად ითვლება (ამ ადამიანს შესანიშნავი საერთო ლექსებიც აქვს შექმნილი

და შაჳ აბასის საერთო ლექსებისა. არ იყოს მათი წამკითხველი ვერაფრით დაიჯერებს, რომ ამხელა პოლიტიკური და სულიერი მოღვაწე ამით „ერთობოდა“), რა თქმა უნდა თეირანის განთქმულ საცობებსაც ვერ ავცდით, საერთოდ აქ მოძრაობა ისეთი ქაოტურია, რომ მსგავსი, მსოფლიოს არცერთ ქვეყანა-





ში არ შემხვედრია. ბოლოს როგორც იქნა გავიკვლიეთ გზადა
ქალაქის ცენტრში ჯამალის ალეაზე შაჰის დროს ბრწყინვალე
და ახლა მის მოგონებად ქცეულ კლა-
სიციზმის არქიტექტორული სტილის
სასტუმრო „ნადერში“ დავბინავდით.
არჩევანი სახელმაც განაპირობა „ნა-
დერი“ ნოდარის უღლებად მივიჩნიე
და როგორც მერე აღმოჩნდა მაინცდა-
მაინც არ შევცმდარვარ. ნომერში რა
გაგვაჩერებდა, ცოტა ფეხით გავიარ-
ეთ, მუქ ჩაისაც გეახელით და ძილ-მღვიძარი ლამეც გავინალ-
დეთ. დილით ადრე ავდექით სასტუმროშივე ვისაუზმეთ და...

თქვენ ფიქრობთ რომ იმ ეკლესიას მივაშურეთ სადაც გად-
მოცემით დიდი მამულიშელი გახლავთ დაკრძალული?! არამც
და არამც არა. დანამდვილებით ვიცოდით, რომ თეირანის „ბარ-



თლომეუსისა“ და „ბარდღუმეო-
სის“ სახელობის სომხური ეკლე-
სია დიდი ხანია უმოქმედო და
საგულდაგულოდ ჩარაზული გახ-
ლდათ. ასე რომ იქ ადამიანის შვი-
ლი ასე ადვილად ვერ შეაღწევდა
(ამიტომაცაა, რომ იქ მისული ბევ-
რი ქართველი შემდგომში ჩიოდა,
შიგ ვერაფრით შევაღწიეთ, ვერაფერი დავინახეთ უზარმაზარი
მესერის გამოვო), ტაძარი მოვლავის ბაზრის ტერიტორიაზეა,
ხალხმრავალ ადგილას. ასე რომ ყოველგვარი „ეშმაკობანი“
გამორიცხულია. ჩვენ, ჩვენი
გზამკვლევი გეგმა გვქონდა,
რომელიც, როგორც განვი-
თარებულმა მოვლენებმა
გვაჩვენა აბსოლუტურად
სწორი აღმოჩნდა. საერთოდ




خليفة سعى ارامنه تهران
ԹԵՂՐԱԿԻ ՀԱՅՈՑ ԱԶԳԱՑԻՒՆ
ԱՌԱՋՆՈՐԴԱՐ ԱՅՆ
ARMENIAN PRELACY OF TEHRAN




ირანში სამი სომხური საეპისკოპოლიტიკური სამსახური და სომხები ამ საეპისკოპოსოებსა და ეპისკოპოსებს შესაბამისად საპატრიარქოს და პატრიარქებს უწოდებენ), — თეირანისპაპანის, თეირანის და თეირან კილიკია-თავრიზის. თავად თეირანში ცამეტი სომხური მონოფიზიტერი ეკლესია მოქმედებს. ჩვენ „ნინასნარ ვიცოდით თეირანის „ნმინდა სარქის მოყადასის“ ეკლესიის ეზოში მდებარეობდა თეირან-კილიკიის საეპისკოპოსოს ადმინისტრაციული შენობა, და მისი ეპისკოპოსი სობუჟი იქიდან განაგებდა თავის სამწყსოს. ახლა სწორედ ამ პიროვნების კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული ჩვენი ექსპედიციის წარმატებაცა და წარუმატებლობაც.

„ნმინდა სარქის მოყადასის“ ეკლესიის შესასვლელთან გაკეთებული აბრა გვაუწყებს, რომ აქ მდებარეობს კილიკია-თეირანის საეპისკოპოსო ცენტრიც. ეკლესია თანამედროვე არქიტექტურულ სტილშია ნაგები (სურათშიც კარგად ჩანს), ეზო ფართო და ტევადია სადაც იმუა-მად სომხური წიგნების გამოფენა

გაყიდვაიმართებოდა. ყოველივეს ფოტოაპარატით ვაფიქსირებთ. ეკლესიაში ფეხაკრეფით შევდივარ, წირვა მიმდინარეობს, პირჯვარი გარდავისახე და უფალს დახმარება შევთხოვე, სანთელი ხსოვნის ცრემლივით ჩამოიღვენთა. ორი საათისათვის წირვა როს



დამთავრდა, ხალხი ეზოს
მოეფინა. ხოლო როცა გაიგ-
ეს თუ ვინ ვიყავით და საიდან
ვიყავით ინტერესი სითბოში
გადაიზარდა. სასულიერო
პირნიც გაგვეცნენ და ლა-
მის დაგვიმეგობრდნენ. თა-
ვად ეპისკოპოსი სობუჟი
სამთავრობო ღონისძიებაზე



ყოფილა მიწვეული, მოუცადეთო და ჩვენც ლოდინად ვიქეცით,
მაგრამ ამაოდ. ასე ხუთი საათი იქნებოდა თანაგრძნობით გვირ-
ჩიეს, მეორე დილით ცხრისნახევრიდან ადმინისტრაციული
შენობის შესასვლელთან დავ-
ლოდებოდით — დილით უსიკვ-
დილოდ მოვაო. სხვა რა გზა
გვქონდა წამოვედით. როგორი
შეგრძნებით გავატარებდით
დარჩენილდროსამასუთქმელა-
დაც მიხვდებით. მეორე დილით
ასე ცხრის თხუთმეტ წუთზე
ადმინისტრაციის შესასვლელ
სადარბაზოსთან უკვე „ყარაულად“ ვიდექით (კიდევ კარგი თეი-
რანში თბილი ამინდები იდგა), ასე ათის ოცდათხუთმეტ წუთზე




ეპისკოპოსი სობუჟი მობრ-
ძანდა. მოახსენეს თუ არა
ჩვენს შესახებ დაუყოვნებლივ
მიგვიღო: საოცრად თბილი
ადამიანი აღმოჩნდა ეპისკო-
პოსი სობუჟი. სამახსოვროდ
გადავეცით პატარა ფერ-
ნერული ტილო — თბილისის
ხედით, სიამოვნებით მიღლო






საჩუქარი, ბრძანა — თბილისში ნამყოფი ვარ, კიდევ ვაპირებ ჩამოს-ვლასო და ნომადის სავიზიტო ბარა-თი პორტმანში ჩაიდო. თანდათანო-ბით დიალოგის ეშხში შესულებმა ავუხსენით ვიზიტის მიზანიდა ჩვენს შინაგან სიხარულს რა აწონის როცა ალექსანდრე ბატონიშვილის ხსენ-ებაზე, გვითხრა — ვიცი, როგორ არ ვიცი თქვენი უფლისნულის ამბავი და ჩვენთვის მეტად სა-სიამოვნოა, რომ მან სამუდამო სამყოფელი აქ თეირანში „ბარ-თლომეუსისა“ და „ბარდლუმეოსის“ სომხური ეკლესიის ეზოში ჰპოვაო. „მაშასადამე სწორ გზას ვადგავართ“ — გავიფიქრე. მან კი დაამატა — და არც მონახულების პრობლემა არ გექნებათო. ეპისკო-პოსმა სობუჟიმ თანაშემნეს ბატონ ალფრედს დაავალა (რომელიც სულ იქ ტრიალებდა და რითაც შეეძლო ხელს გვიმართავდა სამახსოვრო სურათებიც მან გადაგვიღო), დაუყ-ოვნებლივ დაკავშირებოდა „ბარ-თლომეუსისა“ და „ბარდლუმეოსის“ ტაძრის მეთვალყურეს —

ნინამძღვარს ალბერტ ისრაელიანს და გაეღო ჩვენთვის სანუკვარი „სეზამის“ კარი. ბატონმა ალფრე-დმა დარეკა და ბრძანა ერთ საათში ტაძრის შესასვლელთან შეგხვდე-ბათო. ჩვენს თვითკუმაყოფილებას საზღვარი არა აქვს. ვემშვიდო-ბებით ეპისკოპოს სობუჟის, ის კი გვეუბნება — მანქანას გამოგი-






ყოფთ, ძალიან შორსაა თეირანის დასავლეთში მოგიწევთ ნასვლა (თეირანი იმდენად დიდი ქალაქია, რომ ლამის კლიმატურ სექტორება დაც იყოფა) და ყოველგვარი პრობლემის გარეშე ასე ორმოცდაათ წუთში მიგიყვანთო. აი ძმობაც ამას ჰქვია. ეზოში გამოსულები ყველას ვემშვიდობებით და მანქანაში ვსხდებით. მოლავის ბაზრობა ძველ თეირანშია და როგორც აღმოსავლეთს ეკადრება სრული „ქაოტური წესრიგია“. იქ მისულებმა თვალი შევავლეთ რა შუა ბაზარში გაჭრილ გზაზე მდებარე ეკლესიას, რომლის გალავანს დამატებით რკინის ზღუდენი იცავენ (სურათზე კარგად ჩანს) მივხვდით, რომ თუ არა ჩვენი გეგმის სისწორე, აქ მოსვლას აზრი არა ჰქონდა. ალბერტ ისრაელიანიც მალე მოვიდა, ხალისიანად გულდიად მოგვესალმა (აშკარად კეთილგან წყობილია ჩვენს მიმართ). ჯიბიდან გასაღებების ასხმა ამოილო და დაინუო საკეტურთა ღებანი.



ყოფთ, ძალიან შორსაა თეირანის დასავლეთში მოგიწევთ ნასვლა (თეირანი იმდენად დიდი ქალაქია, რომ ლამის კლიმატურ სექტორება დაც იყოფა) და ყოველგვარი პრობლემის გარეშე ასე ორმოცდაათ წუთში მიგიყვანთო. აი ძმობაც ამას ჰქვია. ეზოში გამოსულები ყველას ვემშვიდობებით




ჯერ ერთი კარი, დერეფანი, მეორე კარი, (დააკვირდით სურათებს) პატარა წინა-კარიც ჩარაზულია ისიც იღება, როგორც იქნა შევდივართ პატარა მყუდრო ეზოში, რომლის შუა გულს ხის ნარგავი ამშვენებს. ეს ახალი დარგულია გასაგრილებლათო გვეუბნება, ბატონი ალბერტი. პირველი რაც თვალში გვხვდება ესაა რუსეთის საელჩოს მიერ გაკეთებული ჰქვი მარ-



მარილოს მემორიალური დაფა — რომელიც 1829 წელს თეორანში დაღუპულ რუს დიპლომატებს ეძღვნება, მათ შორის გამოყოფილია ქართველთა სიძის გრიბოედოვის გვარი. ბატონი ალბერტი ტაძრის კარსაც აღებს, აქ განისვენებსო ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე და ქალიშვილი. ალექსანდრე ბატონიშვილს მეუღლე სომეხი ჰყავდა, მაშასადამე ქრისტიანული განშტოების მონოფიზოტობის მიმდევარი, ამიტომაც მისი მეუღლე და ქალიშვილი ეკატერინე ტაძარში დაუკრძალავთ, ხოლო ბატონიშვილი როგორც მართლმადიდებელი დიოციზიტი ეკლესიის ეზოში უნდა იყოს დაკრძალული. ქედს ვიხრით ამ ქალბატონების საფლავის ქვებთან, იქვე ყულაბაში შესანირს ვაგდებთ და ტაძრის თვალიერებას განვაგრძობთ. აგერ დიდი ბრიტანელი მწერლის



უოლტერ სკოტის („აივენჰოს“ ავტორის) ვაჟიშვილის საფლავის მემორიალური დაფა, იგი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა ალექსანდრე ბატონიშვილისა და მისი. აქ დაკრძალვა ერთგვარად ამანაც განსაზღვრა. ჩვენ კი სათითაოდ ვიწყებთ იმ ნიშნების მოძიებას სადაც ქართველი დაუჩიქებელი რაინდი უნდა განისვენებდეს. მე ეზოში გავდივარ და ვჩერდები იმ ალაგას სადაც ჩემთვის ცნობილი ნიშანს-





ვეტებით ბატონიშვილი უნდა
იყოს დაკრძალული და ჰოი
საოცრებავ ნომადი ბართაიაც
იმავე ადგილისკენ მოემართე-
ბა და სულ ბოლოს ჩვენს ძიე-
ბას წერტილს უსვამს ალბერტ
ისრაელიანი — სავარაუდოდ
სადაც თქვენ დგეხართ მაგ
ადგილზეა დასაფლავებული

თქვენი უფლისნულიო. ამ სასიამოვნო ფაქტს ფოტოების სახ-
ით დოკუმენტაციურადაც ავღნუსხავთ და თქვენ შეგიძლიათ
იხილოთ კიდეც. მასპინძელი კი ვით ისვენებს, ჯერ ყავით გვი-
მასპინძლდება, მერე საპატიო
სტუმრებისათვის განკუთვნილი
შთაბეჭდილებათა წიგნი გამოაქვს
— ჩანსერეთ თქვენი გულის-თქმაო.
ვათვალიერებ — ბოლო ჩანანერი
თეირანის მერს ეკუთვნის. სიტყვე-
ბი, ფრაზები ყელში მეჩირებიან
და რომ არ გამოვუშვა უთუოდ მო-
მაშტობენ, სასწრაფოდ წერას ვი-
წყებ — მადლობას ვუხდი ირანელ და სომეხ ხალხს ქართველი
ბატონიშვილის ნეშთი, რომ აგრერიგად გულისხმიერებით შე-
მოგვინახა. ხელს ნომადიც აწერს. ჩვენს შეკითხვაზე თუ რატომ
არ იყო მემორიალური დაფა, ბატონი ალბერტი ბრძანებს — ეგ
თქვენი საელჩოს საზრუნავია და თუ ისინი ამას გააკეთებენ პა-
ტივად ჩავთვლითო. ჩვენ ვუთხარით რომ ელჩს ჩავაყენებდით
საქმის კურსში, რაზედაც ბატონმა ალბერტმა მოგვიგო — სია-
მოვნებით, თუ გინდათ მეც დავრეკავ საელჩოში და ჩემი ხელით
მოვაბრძანებ დაფასო. დრო სწრაფად მიდის, ალბერტი ისრაე-
ლიანი ვერ ისვენებს, ეკლესიაში სკამები ამოაყირავა, ხალიჩე-
ბი გადახადა საფლავის ქვებს, დააკვირდით იქნებ ნახოთ რამე





საინტერესოვო. მთელი დღე-
როგორც შეგვეძლო ისე ვაკ-
ვირდებოდით იქაურობას, უკვე
მნუხრი იყო მოტანებული ტაძ-
რისტერიტორიარომდავტოვეთ.
მასპინძელმა — ზარს ველოდები
საელჩოდანო და თბილად და-
გევმშვიდობა. მუზეუმად ქცეუ-
ლი ტაძარი კვლავ ირაზება ცხრა-კლიტულით და ვინ იცის, ანი
როდის ან ვისთვის გაიღება იგი.
ამაღლებულ განწყობაზე წამო-
სულთ რაღაც სევდა აგვეტორ-
ლიალა და თუ რა სევდა იყო იგი,
ამას თქმა ვით უნდის, ამას თა-
ვადაც კარგად მიგვიხვდებით
ჩემო თანამემამულენო. იმ საღ-
ამოს დიდხანს-დიდხანს ვიხე-
ტიალეთ თეირანის ქუჩებში, სა-
დაც უამრავი ქართველის სასიცოცხლო ბედისწერა აღსრულდა
და რომელთა კვალს დრო თავისი მსახვრალი ხელით დიდის
გულმოდგინებით შლის. უნდა ვიჩქაროთ, ყველაფერი დავაფიქ-
სიროთ, თორემ მერე გვიან იქნება. მოთქმანი — ისტორიული
უსამართლობის სივერაგეზე.





ეიფორიაში მყოფნი დილ-
ით სწრაფად ვსაუზმობთ,
ტაქსს ვაჩერებთ... აქ კი ერთ
თითქოსდა კურიოზი მინდა
მოგიყვეთ. ირანში ბევრს
გურჯები (ე.ი. ქართველები)
მათი განაყოფი თუ არა სულ
ცოტაერთენაზემოლაპარაკე
ხალხი ჰერნია. ასეთ ფაქტს



ბევრჯერ წავანყდით და
აი ახლაც ტაქსის მძღოლი
ეკითხება ნომადის — გურ-
ჯისტანში ხომ სპარსულად
ლაპარაკობთ და თქვენი
მეგობარი რა ენაზე გესაუ-
ბრებოდათ ახლაო. ნომადი,
რომელიც უკვე მიჩვეულია
ასეთ შეკითხვას ილიმის და
უხსნის, რომ არაა მართა-
ლი, „გურჯებს“ თავიანთი გურჯული ენა აქვთ, რასაც ტაქსის
მძღოლი არ უჯერებს და ეჭვი-
ანად გალიმებული ბოლო „არგუ-
მენტს“ მოიშველიებს — აბა შენ
საიდან იცი ასე კარგად სპარსუ-
ლიო, ისედაც კარგი განწყობა
უფრო გვილალდება. ვფიქრობ
— „ეტყობა საუკუნოვანმა ურთ-
იერთობებმა ერთგვარი დალექ-
ვა ჰპოვა ცნობიერებაში და ექოს
სახით ასე გვიბრუნდება-მეთქი“.
თეირანის უნივერსიტეტთან
ჩამოვდივართ. უნივერსიტეტში უმკაცრესი შემონმებებია, რომ
თეირანის ტერიტორიაზე არ შეიძა-
როს. ვგებულობთ თუ რომელ
კორპუსშია თეირანის უნი-
ვერსიტეტის უცხოენათა შემ-
სწავლელი ცენტრი. იქ ერთი
დიდი ქართველი, ახალგაზრ-
და პროფესორი ანდრონ ნაგე-
ლიანი (ფანიაშვილი) გველო-
დება. უნივერსიტეტის კიბე

ბევრჯერ წავანყდით და
აი ახლაც ტაქსის მძღოლი
ეკითხება ნომადის — გურ-
ჯისტანში ხომ სპარსულად
ლაპარაკობთ და თქვენი
მეგობარი რა ენაზე გესაუ-
ბრებოდათ ახლაო. ნომადი,
რომელიც უკვე მიჩვეულია
ასეთ შეკითხვას ილიმის და
უხსნის, რომ არაა მართა-



ვინმე ტერორისტი არ შეიძა-
როს. ვგებულობთ თუ რომელ
კორპუსშია თეირანის უნი-
ვერსიტეტის უცხოენათა შემ-
სწავლელი ცენტრი. იქ ერთი
დიდი ქართველი, ახალგაზრ-
და პროფესორი ანდრონ ნაგე-
ლიანი (ფანიაშვილი) გველო-
დება. უნივერსიტეტის კიბე




არაორდინალურია — კიბის ყოველური ელ საფეხურებს შორის ვკითხულობთ თუ რა ენები ისწავლება აქ და აი ნომადი მიმითითებს — აქ ქართული წერიაო (სურათზე ზემოდან მეორე), გული სიამით მევსება, მაგრამ... საპროფესო-როში კი სხვა ქვეყნის ფლაგ-შტოკებთან ერთად თაროზე

საქართველოს ალამიც ამაყად გამოიყურებოდა, მასპინძელი ფერეიდანელი ქართველი, ანდრო ნაგელიანი (ფანიაშვილი), გულანთებული თვალებით გადაგვეხვია. ეს 25 წლის ვაჟკაცი აქ თეირანის უნივერსიტეტში ასწავლის ქართულს. წელს სულ თორმეტი ახალგაზრდა მოსულა, მათ შორის რვა ეთნიკურად ქართველიაო, ბრძანებს ბატონი ანდრო და ამატებს ადრე მეტნი იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც



საქართველოს მთავრობამ ირანის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი შემოიღო შემცირდნენ (როგორც ადრე გითხარით — საქართველოს ხელისუფლების უგუნურობის კიდევ ერთი შედეგი, მაგრამ თურმე ჯერ სადა ვარ), აქ მოულოდნელად ჩაგვერთო, ერთი ფერეიდნელი ქართველი სტუდენტი, რომელიც ისე აჰყოლოდა ემოციებს, რომ აღშფოთებას ვერც (და არც), ფარავდა. სიტყვასიტყვით მომაქვს მისი „ამოძახილი“ — ბატონებო! ჩვენი წინაპრები მთელი ოთხასი წელი ქართველობის სადარაჯოზე



არაორდინალურია — კიბის ყოველური ელ საფეხურებს შორის ვკითხულობთ თუ რა ენები ისწავლება აქ და აი ნომადი მიმითითებს — აქ ქართული წერიაო (სურათზე ზემოდან მეორე), გული სიამით მევსება, მაგრამ... საპროფესო-როში კი სხვა ქვეყნის ფლაგ-შტოკებთან ერთად თაროზე

იდგნენ, მათ რწმენა დათმეს, რათა ენა შეენარჩუნებინათ ვი-
თარცა ქართველობის სინონიმი, ვინ
მოსთვლის, ან ვინ რა იცის რისი გად-
აჭანა მოგვიხდა, რომ ეს გამარჯვება
გვეზეიმადაახლა, ქართველობაზეგა-
დადებულ იმ ქართველთა ჩამომავალ
ქართველებს, სამშობლოში მოსახვე-
დრად ვიზას უნდა გვთხოვდნენ ჩვენი
თანამემამულენიო? (უგუნურობის
კიდევ ერთი „ზეიმი“) თუ... აქ შეჩერ-
და, შემატყო სიმწრისგან ფერი-ფური
ნამივიდა და ჩემთვის დიდი ილიას

სიტყვებით მივყევი აფოფრილ ფიქრებს — „მიგიხვდი ჩემო ფე-
რეიდნელო ძმაო, თუ ძმისშვილო, რა ნექტრითაც ხარ დაკბე-
ნილი და მართალიც ხარ. რუსეთში საქართველოს საღალატოდ
ნათრეული ქართველი და მათი დამგეშავი უვიზოდ დათარე-
შობს საქართველოში და შენ!!! ახლაც, როცა ამ სტრიქონებს
ვწერ ლამის სიბრაზისგან გული
გამისკდეს, როდემდე უნდა ვი-
ყოთ ასე... დამერწმუნეთ ეს და-
ნაშაულებრივი კანონი თუ არ
შეიცვალა, ასე ხელის გოგმანით
მოტანილ ფერეიდანელ ქართ-
ველობას სულ დავკარგავთ
(ისედაც სულ რაღაც 50-ათასი
დარჩნენ), და არა მარტო ფერ-
ეიდნელებს... უგუნურნო გონს მოდით!...



ჩვენ კი შეშმუშნულნი და დარცხვენილნი დავემშვიდობეთ
იმ ახალგაზრდა, სამშობლოსგან უმაღურად შეურაცხყოფილ
ქართველს — თავჩახრილნი და დარცხვენილნი!


ზემოთ ხომ გითხარით — მაგრამ თურმე ჯერ სადა ხართ-
მეთქი, ახლა იქაც მივედით. გარეთ რომ გამოვედით ბატონმა



ანდრომ, რომელიც ნამიც
აღარ მოგვშორებია რაღაც
გულჩანყვეტით „გაგვიმხილა“,
საქართველოს მოქალაქეობა-
ზე მეც უარი მითხრა საქართ-
ველოს ხელისუფლებამო. ეს
უკვე მეტისმეტი იყო, ამან
სულ ამომაგდო კალაპოტიდან
და დაცეცხლილი ახლაც გავყ-
ვირივარ: — „თქვე მუდრეგე-
ბო თუკი ამისთანა ქართველს (ფეისბუქში მისი გვერდი ეპი-
გრამით — „მადლობა უფალო, რომ ქართველად გამაჩინეთ“
— იწყება), საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ეუბნებით
და მწვანე შუქს უნთებთ იმათ ვისაც საქართველოს საბოლოო
დაპყრობა და გაქრობა სურს, რა გქვიათ მაშინ თქვენ, ანდა
სად შევროვდით, სად შეიყარენით?! არ ვიცი, არ ვიცი... გულს
ბებუთი რომ ჩამცეთ ალბათ სისხლი არ გამომივა.

ანდრო თავგამოდებით შინ
გვეპატიუება (ნომადი ბართა-
იას ის თავის მასნავლებლადა
თვლის), მაგრამ ჩვენ ვუხს-
ნით, ძალიან ცოტა დრო გვაქვს
თანაც საღამოთი საქართ-
ველოს ელჩითან ბატონ სოსო
ჩახვაშვილთან ვართ შინ მი-
ნვეულები, შუალამისას კი
აეროპორტში უნდა ვიყოთ,
რათა ბაქოს გავლით თბილისს მოვიშურით. სხვა რა გზა აქვს
გვეთანხმება. ვთხოვთ თეირანში 1894 წელს რუსების მიერ
დაარსებული მართლმადიდებლური სასაფლაო მოგვაძებნინოს,
იქაც „საჭირისუფლო“, ბევრი ქართველის სამარე გვეგულება.
ანდრომ თეირანის მერიაც კი ჩართო საქმეში და ბოლოს გამო-





ქექა ნაცნობი, რომელმაც
იცოდა ამ სასაფლაოს ადგ-
ილმდებარეობა, დათქმულ
ადგილზე მივაკითხეთ და...

რუსებს ეს სასაფლაო
1894 წელს დაუარსებიათ,
მაგრამ იგი დღესაც მოქმე-
დია. შესასვლელი კარიბჭე

ჩაკეტილი დაგვხვდა. ირანელი მეთვალყურე, რომელიც იქვე
ცხოვრობს, გვეუბნება: რუსეთის საელჩოს ნებართვის გარეშე
შიგ არ შეგიშვებთო. მაგრამ ხომ იცით ჯოჯოხეთს რაც ანათებს,
ჩვენც გასაღებს ვიღებთ და „ხუთი წუთით“ იღება ჭიშკარი. წელ-
ან ხომ გითხარით ვიცოდით იქ ბევრი ქართველის უპატრონოდ
მიგდებული საფლავი გვეგულებაო და ჰოდა თითქოს ისინიც
გველოდნენ — ქართულმა გვარებმა უცბად მოგვჭრეს თვალი.
პირველი რაც შემოგვეგება ეს იყო
დიდი ქართველი მეცენატის აკაკი
ხოშტარიას აშენებული პატარა სამ-
რეკლო. შესასვლელთან გარკვევით
იკითხება მისი მეუღლის სახელი და
გვარი, მაგრამ... მაგრამ სამრეკლო
დაზიანებულია და ინგრევა, ხოლო
შიგთავსი ცემენტის საწყობად გად-
აუქცევიათ და თუ არ იცი, ვერც კი
იფიქრებ რომ აქ ვინმეა დასაფლა-
ვებული. არ გაგვკვირვებია, მთელს
მსოფლიოში ხომ ასე ტიალადაა მი-
ტოვებული ყოველივე, რასაც ქართ-
ველი ფესვები დასდევს. ჩვენს მიერ გადაღებულ სურათებში
კარგად მოჩანს თუ რა დღეშია ქართველთა საფლავის ქვები,
ნუხილით ვაქვეყნებთ მათ იმედით — იქნებ ვინმემ მათმა ჩამო-
მავალმა აქ საქართველოში იხილოს ისინი და... ჩვენ კი უფრო





გულდამძიმებულებმა დავ-
ტოვეთ ეს სამარადუამო ნავს-
აყუდებელი... არავითარ კომენ-
ტარს არ ვაკეთებ, აღარ მაქვს
მაგის ნერვები, არავითარს!
დასკვნას ჩემო მკითხველო თა-
ვად ჩემზე არანაკლებ ჩამოაყა-
ლიბებთ. ხომ ასეა ძვირფასო
მეგობრებო ხომ ერთნი ვართ

განაჩენში?!

მოგვშიებია. საერთოდ თეირანში ძნელად წააწყობი კაფეს
ან რესტორანს, ანდრო თავს იკლავს მე უნდა დაგპატიუოთ,
მაგრამ ნომადი შეუვალია და მეც ვემხრობი. ამასობაში ვგე-
ბულობთ, რომ აქ ირანში სერგი კაკალაშვილს ლონდონიდან
მოვუძებნივართ და ამბავი შემატყობინეთო... წავისადილე-
სავით. მოსალამოვდა, უცბად ლამდება. დრო ცოტა გვქავს,
უნდა საბოლოოდ ჩავბარგდეთ,
მერე საელჩოში ჩვენი ბარგი-
ბარხანით (რომელიც ორ პა-
ტარა ჩანთას წარმოადგენს),
უნდა წავიდეთ. საქართველოს
სახელმწიფოს ელჩმა ბატონმა
სოსო ჩახვაშვილმა მიგვიწვია
თავისთან სტუმრად, გამთე-
ნიას კი ბაქოში გადაჯდომით
თბილისს ვბრუნდებით. ანდროს
გულთბილად ვემშვიდობებით.
ნივთებს ვალაგებთ, სასტუმრო ოთახის კარს ვიხურავთ, რა-
ღაც სევდით გავყურებ მიხურულ კარს და თითქოს ირანსაც
ვემშვიდობებით, რომელმაც ასე თბილად მიგვიღო.

ტაქსს საათზე მეტი დაჭირდა საელჩომდე მისასვლელად.
დიდებული შენობა ჰქონია საქართველოს საელჩოს. ირგვლივ





ყველაფერი სასიამოვნოდ
კრიალებს. საელჩოს შენობა-
შივე თუ არ ვცდები მეოთხე
სართულზე უცხოვრია ბა-
ტონ სოსოს. წინკარში ელჩის
მეუღლე — ქალბატონი ნანა
გვეგებება, რომლის აქტიური
ემოციური სახასიათო ნატურა
აშკარად ავსებს დაუხდებაელ-
ჩის სიდინჯეს. დიდხანს ვისაუ-
ბრეთ.

გადაწყდა რომ მემორიალური დაფა სამენოვანი იქნება
(ქართული, სპარსული, ინგლისური), პროექტს დაუყოვნებლივ
შევუკვეთო ბრძანებს ბა-
ტონი სოსო. ალბერტ ის-
რაელიანის ტელეფონსაც
ინიშნავს. სამხარი ცოტა
გაგვიგრძელდა, ავჩქარდით
— თვითმფრინავზე არ დავ-
აგვიანოთ. ტაქსი გამოიძახ-
ეს და ლამის ძველი მეგო-
ბრებივით ვემშვიდობებით
ურთიერთს. ახლა კი გზა და
ყოველივეს ანალიზი.



ბაქოში შუალამეს ჩავდივართ. დამერწმუნეთ მსოფლიოს
მრავალ ცნობილ აეროპორტში ვყოფილვარ და არ მეგონა
თუ რამე გამაკვირვებდა, მაგრამ ბაქოს აეროპორტის ხილვამ
ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ესაა დიდებული არქიტექ-
ტურული ანსამბლი, რომლის ინტერიერი უცბად გატყვევებს
მნახველს. გავოცდი, გავოცდი! ეს საუკეთესოთა შორის ერთ-
ერთი საუკეთესოა. აფერუმ ილხამ ალიევს, აფერუმ! და კიდევ
ერთი — იქ მომუშავე პერსონალი უცხოს იმას კი არ უყვება
თუ როდის ჩამოვიდა წყალი, ანდა როდის ააგლიჯა კასპიის



ქარიშხალმა ჭერი, არამედ
ამაყობს ამ დიდებული ნაგე-
ბობით. ეს ისე ჩვენთვის
ქართველთა გასაგონადა
ვთქვი.

ვიდრე დასკვნით ნაწილზე
გადავიდოდე, კიდევ ერთ
„გაოცებაზეც“ მინდა ვთქვა
ორიოდე სიტყვა და ეს „გაო-
ცება“ ბაგრატიონებს შეეხებათ. მათი „ოჯახები“ ევროპაშიც და

საქართველოშიც სოლიდურად გამოიყურებიან, მაგრამ კაცს
გაოცებს მათი დუმილი თავიანთი დიდი ნინაპრის მიმათ. მე ვთ-
ვლი რომ ალექსანდრე ბატონიშვილის სახე დროშად უნდა აე-
ფრიალებინათ მათ, ისინი კი თავისი დუმილით გაურკვეველ,
არასაკადრის პოლიტიკურ ინტრიგებში ეხვევიან. თეირიანში
გვითხრეს ამ ათიოდე წლის წინ ბაგრატოვანთა ორი წარმომად-
გენელი ბრძანდებოდა, ალექსანდრე ბატონიშვილის საფლა-
ვის მოსანახულებლად, მაგრამ ეკლესიის ეზოში ისე უჩხუბიათ,
თურმე ძლივს გაუშველები-
ათ და იქიდან ორივე ცალ-
ცალკე გამოსულან, შერ-
იგებას ვინ ჩივის წესიერად
არც კი დაგვემშვიდობნენ,
თორემ მათ შერიგებაზე
ლაპარაკიც კი ზედმეტიაო...
აქ გავჩერდები, არ მინდა
განვსაჯო ის რაც წესიერად
არც ვიცი, მაგრამ გულში
რაღაც უსიამოვნო ხინვი მაინც მრჩება.

დილის ათი საათი სრულდება, აგერ თბილისის აეროპორტის
კონტურებიც გამოჩნდა. ჩვენი მცირე ექსპედიცია დასასრულს
მიუახლოვდა. ვბრუნდებით გულდამძიმებულნიცა და გახარებ-



ულნიც, სევდიანიც და ამაყნიც და თუ როგორ ამოვხსენით ეს რთული განტოლება ეს ჩვენი განსასჯელი არაა, მთავარია რომ მას ჰქონდეს შესაბამისი გაგრძელება. ამდენი უბედურების, ღალატის, დამცირებისგან ძლიერ შელახულ ქართველ ერს ასეთ გმირთა მობრუნებანი მათ მებრძოლ სულს გაუმაგრებს, ღირსების დაბრუნებაში დაეხმარება. ალექსანდრე ბატონიშვილის ნეშთის სამშობლოს სავანეში სამუდამო განსასვენებლის პოვნა (ვფიქრობ სვეტიცხოველში, სოლომონ მეორეს გვერდით უნდა დაიკრძალოს — ორი ეპოქალური გმირის სიმბოლური გვერდი-გვერდ დასვენება შეავსებს იმ სიცარიელეს, ისტორიის დამახინჯებას რომ მოჰყვა), ეს ერთგვარი შვებაც იქნება ჩვენი, ჩვენი — ვინაც ასე დავიღალენით საქართველოს ოქროს ვარსკვალვის ძებნაში. დღეს, საქართველო ელის თავის გმირს და ის ადრე თუ გვიან უსათუოდ დაბრუნდება და მთელი ერი მას გულში ჩაიხუტებს, ცრემლს მოაბეჭურებს და დიდი აკაკის სიტყვებით შესძახებს — არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს! დიდება საქართველოს სახელმწიფოს.

ნოდარ კობერიძე
თბილისი-თეირანი
2014 წლის შემოდგომა

P.S. აი, დავამთავრე წერა და თითქოს შვებით უნდა ამოვისუნთქო, მაგრამ გულის თანალრება, რომ ამყოლია აბეზარი ფიქრებით?! ყველაფერი ითქვა?! რამე ხომ არ დამიკულია ჩემი ქვეყნის სახელოვანი შვილისთვის. ვჩეკარობდი? დიახ ვჩეკარობდი (!) და მაჩეკარებდა ის დაკარგული დრო რომელმაც ჩემი სამშობლო ცაიტნოტში ჩააგდო, ცაიტნოტში რომელიც მის მომავალს სათუოს, გახდის, რადგანაც ლამის ხუთასი წელი კუთხებად — დაფანტულებმა, დაშლილებმა გათითოკაცებულებმა, დავკარგეთ სამშობლოს სახელმწიფოებრივი გააზრების გუ-



მანი. ეს ის გუმანია, რომელიც ერს პოლიტიკური სუბსტანციის
მატარებელ ნაციად აქცევს და ასეთი კონგლომერაცია უკვე
ერთგვარ იმუნიტეტად ქცეული — გარანტია იმისა, რომ მას
უკან, იმპერიის ბინძურ საღორეში ვერავითარი ძალა ვეღარ
შერეკავს. ალექსანდრე ბატონიშვილის ლეგენდარული სახე
კი ნათელსვეტია იმისა თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ, რათა
საბოლოოდ შედგეს და მარადიულად გაუძლოს დროსა და უამს
საქართველოს სახელმწიფომ, რადგანაც სახელმწიფოებრიობის
გარეშე არცერთ ერს — „ხვალე არა აქვს“. ნურასდროს დაგვავი-
ნყდება შეგრონება — სიცოცხლე იმას ჰქვია, შენ დღეს ხვალე ერ-
ქვასო და ჩემი ერთადერთი ოცნებაა, რომ ჩვენს სახელმწიფო
საქართველოს „ხვალე“ ჰქონდეს: შემინდე უფალო მე ცოდვილს
ესე ოცნება!



ნოდარ კობერიძე – შტერალი, პუბლიცისტი. ნიკო
ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, დავით აღმაშენებ-
ლის პრემიათა ლაურეატი. გამოცემული აქვს წიგნები:
„უოკეის ბედის ნებიერი“, „წყალდიდობა“, „რომ გაიმ-
არჯვო ერეტიკოსი უნდა იყო“, „ბედისწერა საქართ-
ველოსი?“, „ვინც მახვილს აიღებს“, „ასლან აბაშიძის
პიროვნება“, „მეორე ფორმა“, „ორი გოლგოთა“, „ლახტის
წრეში“, „აღდგომის ღამე ქაიროში მამლუქთა სასა-
ფლაოზე“. ავტორია რომანებისა – „თეთრი ღიმილი“,
„რომ გაიმარჯვო ერეტიკოსი უნდა იყო“, „მეორე ფორ-
მა“, „აღდგომის ღამე ქაროში, მამლუქთა სასაფლაოზე“.

დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და საზოგადოებადმ-
ცოდნეობის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა „თბილისის ისტო-
რიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად“, დავით აღმაშენ-
ებლის საზოგადოების პასუხისმგებელ შეფყნელ. საქართველოს ფეხბურთის
ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროხად კითხულოვდა დაწილება.

გამოცემდა და რედაქტორობდა განერაცია „ქართველი ცენტრი“, „თემი“,
„სარანგი“, „აღორძინება“, „ტაო-კლარჯეთი“. „მესამე ათასწლეული“, „აღ-
მაშენებელი“.

გახდავთ – საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ფეხ-
ბურთის ფედერაციის, სპორტულ-ფერნალისტთა ასოციაციის ერთ-ერთი დამ-
ფუძნებელი.

საუკუნის დასაწყისში „საქართველოს სწორი გზის პარტიის“ თანადამ-
ფუძნებელი და მისი – პოლიტიკური ლიდერი. არის „დავით აღმაშენებლის
საზოგადოების“ პრეზიდიუმის წევრი და თანადაფუძნებული, კონსტანტინე
გამსახურდიას საზოგადოების თანადამფუძნებული და პრეზიდიუმის წევრი.
საზოგადოების „ტაო-კლარჯეთის“ პრეზიდენტი, ეროვნული აკადემიის საპა-
ტიო აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

1304.509
3

9789941062995

9 789941 062995 >